საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია
GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION

კოალიცია
დამოუკიდებელი
და გამჭვირვალე
მართლმსაჯულებისთვის
Coalition for
an Independent and
Transparent Judiciary

# კოალიციის მოსაზრებები “პროკურატურის შესახებ” კანონის პროექტის განახლებულ ვერსიაზე

როგორც ცნობილია, იუსტიციის სამინისტრომ დაასრულა მუშაობა [redacted] შესახებ A კანონის პროექტზე ვენეციის კომისიის რიგი რეკომენდაციების ასახვაზე. აღსანიშვანია, რომ ვენეციის კომისიის მიერ მომზადებული ვრცელი დასკვნა, რომელიც არსებითად იზიარებდა კოალიციის არაერთ მოსაზრებას, მიუთითებდა კანონპროექტის არსებითი გადამუშავების საჭიროებაზე. დასკვნაში მწვავედ და კრიტიკულად იყო შეფასებული კანონპროექტის ავტორთა არაერთი ინიციატივა.

**მთავრობის მიერ კანონპროექტის გადამუშავებულ ვერსიაში გაზიარებული ცალკეული რეკომენდაციების მიუხედავად, ცვლილებების სულისკვეთება და მიმართულება არსებითად არ შეცვლილა. ამდენად, კოალიციას მიაჩნია, რომ კვლავ რჩება არაერთი ინსტიტუციური გამოწვევა პროკურატურის სისტემის სრული დეპოლიტიზირების გზაზე.**

- კანონპროექტის ახალი რედაქციის ძირითად ცვლილებას წარმოადგენს საპროკურორო საბჭოს შემადგენლობა და მისი დაკომპლექტების წესი. საბჭოს შემადგენლობა იზრდება 15 წევრამდე (იუსტიციის მინისტრი, 8 პროკურორი, 2 მოსამართლე, 2 პარლამენტის წევრი, 2 პარლამენტის მიერ არჩეული არაპროკურორი წევრი). წესდება კვოტა საპარლამენტო უმცირესობისთვის. პარლამენტი კვლავ სრული შემადგენლობის უმრავლესობით შეარჩევს საბჭოს ორ არაპროკურორ წევრს.

- მთავარი პროკურორობის კანდიდატის პირველადი ნომინირების უფლებამოსილება უნარჩუნდება იუსტიციის მინისტრს. თუმცა, მინისტრი ერთის ნაცვლად მოახდენს მინიმუმ სამი კანდიდატის ნომინირებას. კანდიდატთა შერჩევის წინ კი ის სავალდებულო

კონსულტაციებს გაივლის პროფესიულ წრეებთან. თუმცა კონსულტაციების ზოგადი პროცედურები, ვადები და პრინციპები შემოთავაზებულ რედაქციაში არაა განსაზღვრული; არ არის გათვალისწინებული ვენეციის კომისიის რეკომენდაცია მთავარი პროკურორის კანდიდატის შერჩევის ობიექტური კრიტერიუმების დადგენასთან დაკავშირებით, რაც უნდა შეესაბამებოდეს ქვეყნისათვის ესოდენ მნიშვნელოვანი  თანამდებობის პირისთვის საჭირო მაღალ პროფესიულ სტანდარტს და რაც, ამავე დროს, მთავარი პროკურორის შერჩევის პროცესის დეპოლიტიზირების ერთ-ერთი გზაა.

- Ad hoc პროკურორის დანიშვნის საკითხის ინიცირების უფლება ენიჭება საბჭოს თითოეულ წევრს. საკითხზე გადაწყვეტილებას კი საბჭოს წევრთა 2/3-ის ნაცვლად, სრული შემადგენლობის უმრავლესობა მიიღებს. მთავარი პროკურორის თანამდებობიდან გათავისუფლების საკითხის განხილვაში მონაწილეობას აღარ მიიღებს მთავრობა. სამწუხაროდ, ამ პროცესში კვლავ არ მონაწილეობს სასამართლო ხელისუფლება, რაც ასუსტებს მთავარი პროკურორის დაცვის გარანტიებს.

კოალიციას მიაჩნია, რომ კანონპროექტში განხორციელებული ცვლილებები ემსახურება დოკუმენტის ტექნიკურ გაუმჯობესებას და ის ვერ ცვლის კანონპროექტის ძირითად ხარვეზს - პროკურატურის სისტემაზე პოლიტიკური გავლენის შენარჩუნების რისკს. არ არის გათვალისწინებული ვენეციის კომისიის ძირითადი რეკომენდაციები - მთავარი პროკურორის დანიშვნის პროცესზე მმართველი პოლიტიკური ძალის ზეგავლენის შემცირება და საპროკურორო საბჭოში იუსტიციის მინისტრის დომინანტური როლის შემცირება/დაბალანსება; საპროკურორო საბჭოს ინსტიტუციური სტატუსის განსაზღვრა იმგვარად რომ ის არ შედიოდეს იუსტიციის სამინისტროს სისტემაში. ამდენად, განხორციელებული ცვლილებები ვერ უზრუნველყოფს მთავრობის მიერ პროცესის საწყის ეტაპზე გაჟღერებული მიზნების მიღწევას, რასაც სისტემური და ფუნდამენტური ინსტიტუციური ცვლილებების განხორციელება ესაჭიროება.

გასათვალისწინებელია ის ვალდებულებებიც, რაც ქვეყანას ევროკავშირთან ასოცირების დღის წესრიგით აქვს აღებული, მათ შორის, პროკურატურის სისტემის სათანადო კონსტიტუციური მოწყობის განსაზღვრა. საბოლოო და შესაფერისი კონსტიტუციური წყობის ჩამოყალიბების საჭიროებაზე ასევე საუბარია თომას ჰამერბერგის ანგარიშში.

აღსანიშნავია, რომ კოალიცია ასევე საუბრობდა პროკურატურის რეფორმის პროცესში კონსტიტუციური ცვლილებების საჭიროებაზე, რაც სამწუხაროდ არ გახდა ხელისუფლების მხრიდან რაციონალური მსჯელობის საგანი. ხელისუფლების არგუმენტები კონსტიტუციური ცვლილებების საწინააღმდეგოდ მხოლოდ არასაკმარისი ხმების რაოდენობაზე მითითებით შემოიფარგლა.

ამ ეტაპზე უკვე ცნობილია, რომ ოპოზიციური ფრაქციები პარლამენტში გამოხატავენ მზადყოფნას მხარი დაუჭირონ კონსტიტუციურ ცვლილებებს მთავარი პროკურორის შერჩევა-დანიშვნის ნაწილში, რაც მიუთითებს პოლიტიკური კონსენსუსის მიღწევის რეალურ შესაძლებლობაზე ხელისუფლების მხრიდან ნათელი პოლიტიკური ნების არსებობის შემთხვევაში.

კოალიციას სურს კვლავ მიაქციოს ხელისუფლების ყურადღება პროკურატურის სისტემის ძირეულ პრობლემაზე, რაც მის სუსტ ინსტიტუციურ და ფუნქციურ დამოუკიდებლობაში მდგომარეობს და რასაც მის მუშაობაზე პოლიტიკური გავლენების შესაძლებლობები განაპირობებს. ამ პირობებში, კოალიცია კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს რეალური, სისტემური რეფორმის მნიშვნელობას, რის საფუძველსაც, ვენეციის კომისიის რეკომენდაციების გათვალისწინებასთან ერთად, შექმნის კონსტიტუციური ჩარჩოს ცვლილება და ამ მიმართულებით ხელისუფლების მიერ პოლიტიკური მზადყოფნის გამოხატვა.